

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

**ოქმი N 6**

ქ.ვანი თავისუფლების N65

14 მარტი 2018 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** ამირან ტალახაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

**დღის წესრიგი**

1. მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N276 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

2. მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

3.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მიხეილ სვანაძე

4.„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგით მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

#### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამას დაემატა შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> პუნქტები:

2<sup>1</sup>. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს მენიუ დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებით“.

2<sup>2</sup>. უფასო სასადილოთი მოსარგებლე მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების უფლებამოსილება მიენიჭოს ვანის მუნიციპალიტეტის მერს“.

#### **გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 2/

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება და განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულების მე-2 პუნქტი.

### **გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 3/

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა , რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

„დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები, რომლებსაც დაუზიანდაც ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნია.

„ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვროს ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით.

### **გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8  
წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 4/

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 10 განკარგულებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ 7.1 პუნქტი.

**გადაწყვიტეს:**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 10 განკარგულებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ 7.1 პუნქტი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8  
წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 5/

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის თავმჯდომარე